

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №028284

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

16 ივნისი 2023 წ.

ქ. ყვარელი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამოტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის იურისტი ვანო ბოჭორიძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 16. 06. 2023 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი ფრიდონი ხოსიტაშვილი №40001036409; მცხოვრები: სიღნაღი ს. ჯუგაანი 33-ე ქ. N 3ა აზონენტის №3101473577.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ამავე საზოგადოების აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის სიღნაღის ანალიტიკის სამსახურის სპეციალისტის პაატა აბულაშვილის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №028284 ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე. ოქმის შემდგენის განმარტებით, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ თანამშრომლების მიერ სიღნაღი ს. ჯუგაანში აღმოჩენილ იქნა ფრიდონი ხოსიტაშვილის მიერ ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარების ფაქტი, კერძოდ პირმა დავალიანების გადაუხდელობის მიზეზით შეწყვეტილი ბუნებრივი გაზის მიწოდება აღადგინა თვითნებურად.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ეცნობა საქმის განხილვის შესახებ დროისა და ადგილის მითითებით. ფრიდონი ხოსიტაშვილი არ გამოცხადდა ზეპირ განხილვაზე და რაიმე მიზეზის შესახებ არ უცნობებია. შესაბამისად საქმის განხილვის გადადების საფუძველი არ არსებობს რისი გათვალისწინებითაც თანამდებობის პირი უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრების გარეშე და მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით – გამოიწვევს გაფრთხილებას“:

ამასთან საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 09 ივლისის №12 დადგენილების მე-9 მუხლით: ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, შეწყვეტილი ბუნებრივი გაზის მიწოდების თვითნებური აღდგენა,

ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება (გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა).

საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგენილად მიმაჩნია, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ეს უკანასკნელი ბრალეულია მის ჩადენაში, ამასთან არ არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ შს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბანკში ფრიდონი ხოსიტაშვილი არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8; მე-10; 96¹ მუხლის პირველი ნაწილით, 200-ე, 228²-ე, 236-237-ე, 260-ე და 266-268-ე მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ფრიდონი ხოსიტაშვილი პირადი №40001036409 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი:



ვ. ბოჭორიძე